


Զեհարձոր

Բնակավայր





ღვენი ახალ სახლები გაჯეჟია,
ახალ ხეივანში: უნინ ზმ აცხები იყუა!¹

სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, თბილისიდან 1841 წლის 28 მაისს.

თბილისში ბოლო საცხოვრისი, რომელიც დაკავშირებულია ბარათაშვილის სახელთან, ანჩისხატის უბანში მდებარეობს.

სასლი ჩასრუსადის ქუჩიდან ყოფილა ერთსართულიანი, ანჩისხატის ქუჩიდან კი - ორსართულიანი. XIX საუკუნის 90-იან წლებში შენობას დააშენეს კიდევ ერთი სართული. ნიკოლოზ ბარათაშვილის აქ ბინადრობისას, სასლს შესასვლელი ჰქონია ანჩისხატის მხრიდან, ფანჯრები გადიოდა ჩასრუსადის ქუჩაზე. დღეს ამ სასლში გასსნილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სასლ-მუზეუმი.

¹ წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1841 წ. 28 მაისი

„მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ანჩისსატის უბანი მრავალმხრივ იყო საყურადღებო. აქ ცხოვრობდნენ ყოფილი სარდლები, ბატონიშვილები, მწიგნობრები და სასულიერო პირები - ერეკლე მეორის ეპოქასე მგლოვიარენი. ამ უბანში ცხოვრობდა ეგნატე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის კარის მღვდელი და ცოცხალი მემკვიდრე წარსული საუკუნისა. ანჩისსატის ვიწრო ქუჩებში ღამით ფარნით უნათებდნენ გზას ერეკლეს ასულს თეკლე ბატონიშვილს, ცნობილი ქართველი პოეტის ვანტანგ ორბელიანის დედას. მთელი გარემო დასახლებული იყო ფეოდალური საქართველოს სორცმესხული ანჩისსატებით“.²

ანჩისსატის უბნის სასელწოდება XVII საუკუნეში წარმოიშვა. რაც, რა თქმა უნდა აქ ანჩისსატის ტაძრის მდებარეობით იყო განპირობებული. თბილისში შესასვლელი ერთ-ერთი გზა პირველად სწორედ ამ უბანში შედიოდა. მის მთავარ (ასლანდელი შავთელის) ქუჩას ჯერ წყლის კარის, შემდეგ ანჩისსატის, XIX საუკუნეში კი მაცხოვრის ქუჩა ეწოდებოდა.

ანჩისსატის უბანში განლაგებული იყო ქალაქის უმთავრესი ნაგებობები, სასახლე და კომპლექსი, ქარვასლები, (მეფის, თბილელის, მელიქის) ქართული ეკლესიები (სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისსატი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის და სსვა) კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების (ამილახვრის, მუსრან ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის და სსვა) სასახლეები.

1817 წლის 22 ნოემბერს (ასალი სტილით - 4 დეკემბერს) დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისში, პაპის - ზურაბ ორბელიანის სასლში, სადაც მთელი ბავშვობა გაატარა. ბარათაშვილის ოჯახი საქართველოს მაღალ არისტოკრატიულ

² აკაკი გაწერელია, ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემა. თბილისი, 2017 წ. გვ. 363



წრეს ეკუთვნოდა. ბარათაშვილების სამოსახლო ქვემო ქართლში საკმაოდ დიდ ტერიტორიას წარმოადგენდა და „საბარათიანოს“ სახელით იყო ცნობილი. „საბარათიანო“ ქართლის მეფეთა „მოწინავე სადროშოში“ შედიოდა XVI-XVIII საუკუნეებში და ბრძოლებში გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბარათაშვილების წარჩინებულ ოჯახში 1820-1840-იანი წლებში იკრიბებოდა იმდროინდელი თბილისის რჩეული საზოგადოება: ეგნატე იოსელიანი, ნიკოლოზ და მისიელ ფავლენიშვილები, სოლომონ თარსნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები და სსვა განათლებული ქართველები. მელიტონის ოჯახი განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა გრიგოლ ორბელიანის, მანანა ორბელიანის და ალექსანდრე ქავჭავაძის ოჯახებთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა - მელიტონ ბარათაშვილი ქართული თავადაზნაურობის მარშალი იყო. დედა - ეფემია - ერეკლე მეორეს შვილთაშვილი და გრიგოლ ორბელიანის და. იმ დროში ეფემია ცნობილი იყო სანიმუშო ქართული აღზრდითა და სათნოებით, ეს თვისებები მან შვილსაც გადასცა. პირველი აღზრდა-განათლება ნიკოლოზმა სწორედ დედისაგან მიიღო, რომელმაც ბავშვობიდანვე შეაყვარა ფსალმუნნი და სასარება. ამის წყალობით, მომავალმა პოეტმა შესანიშნავად შეითვისა ძველი ქართული ენა, რაც შემდგომში მის ლექსებშიც აისახა. ტატოს (ნიკოლოზს სახლში ტატოს ეძახდნენ) მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავის ბიძებთან, დედის ძმებთან, თანატოლ ილია ორბელიანთან და უფროს ბიძასთან გრიგოლთან. ტატო და ილია ერთად იზრდებოდნენ, გიმნაზიაშიც ერთად სწავლობდნენ, გრიგოლი კი ბარათაშვილის სულიერი მეგობარი იყო. მათი ურთიერთობა ნათლად ისახება ბარათაშვილის პირად წერილებში. ტატო თავისი გულის დარდს მხოლოდ ორ პიროვნებას უზიარებს - მათა ორბელიანს (ბავშვობის მეგობარსა და ნათესავს) და გრიგოლს. ბიძა-დისშვილის მეგობრობა ორმხრივი ყოფილა, რასაც ასევე ადასტურებს ბარათაშვილის გარდაცვალების შემდგომ დაწერილი გრიგოლ ორბელიანის ბარათი თავისი უმცროსი ძმისადმი: „მინაკოს სიყვარულით მოვიკითხავ, ვინძლო რომ ერთმანეთი გაყვარდეთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთი“.

პოეტი 1824 წელს სწავლას იწყებს კალოუზნის სამრევლო სასწავლებელში, 1827 წელს კი ნიკოლოზი შეიყვანეს თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“, რომელიც 1830 წელს, გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიაში იმ პერიოდის სასწავლო პროგრამა გულისხმობდა ქართულ ენასა და ლიტერატურას (მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი), რუსულ ენას (მას-

წავლებელი დემენტიევი), ქართულ კატენიზმოს (მასწავლებელი ეფრემ ალექსი-მესნიშვილი), ისტორიასა და გეოგრაფიას, რიტორიკას, ლოგიკას, მათემატიკას, ფიზიკას, სატვას, საზვას, ფრანგულ, გერმანულ და აზერბაიჯანულ ენებს. ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობრები ნიჭიერი ასალგაზრდები იყვნენ, რომელთაც მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში საკუთარი წვლილი შეიტანეს. დიმიტრი ყიფიანი, ლიტერატორი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, დღეს წმინდანად შერაცხული; კონსტანტინე მამაცაშვილი, ლიტერატორი, ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი; ლევან მელიქიშვილი, ცნობილი გენერალი, კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი 70-იან წლებში; მისიელ თუმანიშვილი, პოეტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე; ილია ორბელიანი, ბარათაშვილის ბიძა, ცნობილი გენერალი, ლექსი „მერანის“ ადრესატი; ლუკა ისარლიშვილი, შემდგომში შეუბრალებლობით ცნობილი ცენზორი და ა.შ. 1833 წელს ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობრებმა შეადგინეს ხელნაწერი ალმანახი (შემორჩენილ ეგზემპლარს თავფურცელი აკლია და ამიტომაც მისი სახელწოდება ცნობილი არ არის), სოლო 1835 წლის მაისიდან 1936 წლის თებერვლამდე გამოსცემდნენ რუსულ ხელნაწერ ჟურნალს - „Цветок Тифлисской Гимназии“, რომლის სულ სუთი ნომერი გამოვიდა. რედაქტორი - მისიელ თუმანიშვილი. გამოცემაში ბარათაშვილი მონაწილეობდა, როგორც გამოცემის ორგანიზატორი და ავტორი. მისი წერილები განთავსებული ყოფილა ჟურნალის მეოთხე ნომერში, რომელიც დაკარგულია, მაგრამ ცნობის სახეობას ადასტურებს მესხეთე ნომრის საერთო სარჩევი, საიდანაც ვიგებთ, რომ მე-4 ნომერში შესული ყოფილა ბარათაშვილის სამი წერილი: I. „Письмо из деревни; II. თარგმანი ძველი ქართული რომანიდან „ვისრამიანი“ (ნაწყვეტი); III. О папской власти. 1. О возвышении папизма; 2. О падении его“.



1833-1835 წწ. ბარათაშვილის მიერ ითარგმნა იული ტაციტუსის ნაშრომის „ცხოვრება და ხასიათები იული აგრიკოლასი“ ოცდამეცამეტე და ოცდამეთოთხმეტე თავები.

1830-იანი წლებში ლიტერატურულმა წრემ მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის შედგენა. ამ პერიოდშია შექმნილი პოემა „ივერიელი“, რომელიც X-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხებოდა.

1835 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა გიმნაზიაში სწავლა შეწყვიტა და ამავე წლის 6 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანცელარიის მოხელედ დაინიშნა.

1842 წლის სექტემბერში, ნიკოლოზ ბარათაშვილი დიმიტრი ყიფიანის სელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ მუშაობაში ერთვება.

1844 წელს, გიმნაზიელი მეგობრის ლევან მელიქიშვილის დახმარებით, ბარათაშვილი ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა. 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დასასრულამდე ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოეთში, ნახჭევანის მაზრაში გაატარა.

1845 წლის მარტის ბოლოს, ბარათაშვილი ბრუნდება თბილისში, ძველ თანამდებობაზე. ამავე წლის 19 ივნისს გამოიცა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანება ბარათაშვილის ქალაქ განჯაში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ. განჯაში პოეტმა მალარიით დაავადდა, ორკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ, 9 ოქტომბერს კი გარდაიცვალა; დაკრძალეს განჯაში, ქალაქის ცინესთან აგებული მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში.



„მართალი ვითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხის-
აგან მოსაწყენია და მტვრისგან სულის შემსუთველი,
საყურადღებო არაფერია. მე გამოვცოცხლდები სოლმე
მთვარიან საღამოს, რომელიც თბილისში მშვენიერია.
გუშინ, ერთერთ ასეთ საღამოს, წავედი სასეტიალოდ
მოსკოვის სადარაჯოსკენ და მოულოდნელად თავი სასა-
ფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშფოთ-
დი, როდესაც თვალი მიმოვაველე ამ მყუდროებას: ღამის
11 საათია, არც ერთი სული! გარშემო საუკუნოებრივი
სიცარიელე; მთვარე მქრქალად ანათებს საფლავეებს, რო-
გორც მიცვალებულის მიმქრალი ბაზმა. ჩუმად და ნე-
ლად მიიზღაწნება მტკვარი, თითქოს ეშინია დაბარღვის
ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროება“.³

მტკვარი, როგორც ქალაქში ძველად ამბობდნენ, თბილის-
ელობის განმსაზღვრელი იყო. მოდუდუნე, ანკარა, „მის
ზვირთებში კრთის ღაფუვარდი ცისა კამარა“. ბარათ-
აშვილის დროს მდინარეს ორივე მხრიდან მიუყვებოდა
ქარვასლები, აივნისანი სასლები, წყლის სმას ერთგოდა
მოცურავე წისქვილების ბორბლების დგაფუნი და ტივებ-
ზე მოქეიფეთა სმები. მტკვარი - ბარათაშვილის სევდიანი
„ფიქრთ ვასართველი“ ადგილი.

³ წერილი მიხეილ თუშანიშვილისადმი, 1838წ. 6 აგვისტო



ფიჩხნი მუკჳხალ სიხალ

ბიჯი ნყაროლ სიხლ სვირინი ფიჩხა ვსიხაჯი არ,
აქ ვიბიქერი ნარბუხლ არვილ ვინსაჯიქერი არ;
აქ რბილ მრულმერ სინუემერ ვინამ სიქიბრია,
აქარ ყლვილი სიბიხი იყლ მინყინია;


ბერარ მრულაქ მრულყი მუკჳხალი სიქია
ქ მილ მვიჩაქინი ქიანლ რაქვილი სილა ვამს.

იყვი-რყიბინი ყიქლ ყვიქ მ მილა სხილა
ქ ავირნი ხინ მხარ, მხარ, სილ რსავლა!
ვიბ იქილ, მუკჳხლ, სლ ზუქიყიქ, ვილავილ სლ იყვი?
მხვიარ სიქილ მინამ ხლ, მვიჩამ ხლ ყიყვი!..



„ნიკო ბარათაშვილი თბილისს ეკუთვნის, როგორც დაბადებ-
ით, ისე თავისი სანმოკლე სიცოცხლით. პოეტმა თავისი ცნ-
ოვრება (გარდა უკანასკნელი წლისა) თბილისში გაატარა“.⁴

⁴ პავლე ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, თბილისი, 1983 წ. გვ. 31



ქვემო მდინარე

ბევრი ხეობა ღარი ზედათა ქვემო მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს

ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს



ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს

ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს
ქვემო მდინარე-ს ზედათა მდინარე-ს

ორბელიანთა აული

„ორბელიანთა სასლი, სადაც დაიბადა ნიკო ბარათაშვილი და სადაც მან სანასევროდ გაატარა თავისი ბავშვობა, აღარ შენასულა. ეს სასლი, როგორც გადმოგვცემენ მომსწრენი, მდებარეობდა „გარეთ-უბანში“, ახლანდელ ორბელიანის ქუჩაზე. (განმარტება - სასელდობრ ჩისის ბოლოს, ქუჩის აღმოსავლეთ მხარეზე). სასლი იყო პატარა, ორსართულიანი, ბანიანი. ბანიდან მოჩანდა განთქმული ყაბახის მოედანი (სადაც შემდეგ ეგრეთწოდებული „ალექსანდრეს ბაღი“ გაშენდა). როდესაც ყაბახსე ძველი ტრადიციული ჯირითი იმართებოდა, ამ სასლის ბანზე გამოეფინებოდნენ სოლმე „ორბელიანთა აულის“ ქალები („ორბელიანთა აული“ - ასე უწოდებდნენ

მეტსახელად ყაბახის მიდამოებს, რადგან იგი ორბელიანთა საგვარეულო სამფლობელოს შეადგენდა და აქ უმთავრესად ორბელიანები სასლობდნენ“.⁵

„განსაკუთრებით მიმზიდველი იყო პოეტისათვის თავისი დედული - ორბელიანთ უბანი, რომელიც სავსე იყო მისი ნათესავებით, მეგობრებით, ახლობელი ქალებით და რომელიც „დულდა მსიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილებითა“.⁶

⁵ პავლე ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, თბილისი, 1983 წ. გვ. 31

⁶ გიორგი ლეონიძე, ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემა. თბილისი, 2017 წ. გვ. 204

